ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება

განკარგულება:**g-13. 13232354**
თარიღი:**23/08/2023**

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი'' საქართველოს ორგანული კანონის 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.დ'' ქვეპუნქტის, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ'' ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილებისა შესაბამისად,

1. მიეცეს თანხმობა ახალციხის მუნიციპალიტეტის მერს, პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, სასყიდლით, იჯარის ფორმით, 2 (ორი) წლის ვადით, გადასცეს სს „ლიბერთი ბანკს“ (ს/ნ 203828304) ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება:

   ა) ქ. ახალციხე, კოსტავას ქ. N18 -ში ს.კ 62.09.58.846 გამოყოფილი 1 კვ.მ ფართი (ადმინისტრაციული შენობა);

   ბ) ქ. ახალციხე, შ.ახალციხელის ქ. N2 - ში ს.კ 62.09.58.202 გამოყოფილი 1 კვ.მ ფართი (ადმინისტრაციული შენობა).

   საფუძველი-ქალაქ თბილისში, ჭავჭავაძის გამზირი N 74-ში რეგისტრირებული სს „ ლიბერთი ბანკი“-ს (ს/ნ 203828304) 2023 წლის 07 აგვისტოს N03065/022310006 მომართვა.

2. სს „ ლიბერთი ბანკმა“ (ს/ნ 203828304). სარგებლობაში გადაცემული ქონება გამოიყენოს ბანკომატის განთავსების მიზნით.
3. ყოველთვიური საიჯარო ქირა განისაზღვროს (შპს „საკონსულტაციო ჯგუფი კავკასაუდიტი“-ს 2023 წლის 18 აგვისტოს № 375 აუდიტორული დასკვნა), ყოველ კვადრატულ მეტრზე 50,00 (ორმოცდაათი ლარი და 00 თეთრი) ლარის ოდენობით.
4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან 1 (ერთი) თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ახალციხე, მებაღიშვილის ქ. N60 ა).

დავით ლომიძე

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი